მწვანილის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები

საქართველოში მწვანილი ტრადიციულად იწარმოება და მას მაღალი საექსპორტო პოტენციალი აქვს. მწვანილის ძირითადი მწარმოებელი რეგიონებია: იმერეთი (წყალტუბო, სამტრედია) და სამეგრელო (ზუგდიდი, სენაკი). ხელსაყრელი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, იმერეთის რეგიონი მწვანილის წარმოებისთვის იდეალური ადგილია. შემოდგომა-ზამთარი-გაზაფხულის პერიოდში მწვანილის წარმოება სათბურებში გათბობის გარეშეა შესაძლებელი, რაც საწარმოო ხარჯებს მნიშვნელოვნად ამცირებს. მაღალი გემური თვისებები მიიღწევა განსაკუთრებული მიკროკლიმატითა და წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში ძირითადად ორგანული სასუქების გამოყენებით. მწარმოებლების უმეტეს ნაწილს არ გააჩნია Global Gap-ის სერტიფიკატი, რაც ევროპის ქვეყნებში ექსპორტის შესაძლებლობებს აბრკოლებს.

საინვესტიციო შესაძლებლობები

- მაღალკონდიციური თესლის წარმოების განვითარება
- წარმოების საშუალებების მიწოდება (სასათბურე კონსტრუქციები, მინის მასალები, სარწყავი სისტემები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები და სხვა)
- ღია და დახურულ გრუნტში წარმოება
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მიწოდება
- პროდუქციის შენახვისთვის მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით
- პირველადი პროდუქციისთვის შესაფუთი მასალების წარმოება
- სატვირთო გადაზიდვების მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით

ფინანსური მაჩვენებლები *	
ფართობი (სათბური)	1 ჰა
საწყისი საინვესტიციო კაპიტალი	740 000 ლარი
უკუგების პერიოდი	მე-5 წელი
IRR (8 წელი)	18 %

* მაჩვენებლები ეყრდნობა პირობით გათვლებს და გაანგარიშებულია 2015 წლის იანვარ-თებერვალში არსებული მონაცემების საფუძველზე

ბაზრები

ძირითადი სავაჭრო პარტნიორები



წყარო: საქსტატი

ექსპორტი თვეების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)





წყარო: საქსტატი

ექსპორტ-იმპორტი წლების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი